ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 52

18.03.2021
16:00 საათი

ქ. თბილისი, ზღვის უბანი XI მ/რ, III კვარტალი
ნაძალადევის სპორტული კომპლექსი

მიმდინარე წლის 18 მარტს 16:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ზაზა ცინაძე,** ა(ა)იპ ქალაქ თბილისის „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს დირექტორი **გივი ჩხარტიშვილი** და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი"-ში, კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ გახსნითი სამუშაოების, მიმდინარე სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა. (მომხსენებელი - გივი ჩხარტიშვილი,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს დირექტორი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი''-ში, მიმდინარე სასწავლო პროცესის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია - კომისიას წარუდგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს დირექტორმა.

გივი ჩხარტიშვილი - მოგესალმებით, მოგეხსენებათ კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო სპორტული დაწესებულებები დახურული იყო ერთი წლის მანძილზე, ახლა კი რეგულაციები შემსუბუქდა და შესაძლებელია აღნიშნული სერვისით სარგებლობა ნებისმიერმა მსურველმა მიიღოს. ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი'', ზღვის უბანში, 2018 წლის 12 ოქტომბერს გაიხსნა. სპორტული ცენტრის საქმიანობა ორიენტირებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, აქტიური დასვენების პოპულარიზაცია-განვითარებასა და მოსახლეობის ფართო ფენებში დანერგვაზე, მომხმარებელთა მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე. სპორტული ინფრასტრუქტურა მოიცავს: ჭიდაობის დარბაზს (ტატამი), კრივის რინგს და ორ საცურაო აუზს (დიდი - 25 მ. პატარა - 15 მ), ასევე, ფუნქციონირებს ფიტნეს დარბაზი, გასახდელები და კაფე. პანდემიამდე ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი'', ყოველთვიურად ათასამდე ბენეფიციარს ემსახურებოდა, არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიმართულებებია: ცურვა, წყალბურთი, ჭიდაობა, ფიტნესი, აკვა-აერობიკა, თერმული აბაზანები, აღმოსავლური ორთაბრძოლები და კრივი. ცენტრი აქტიურადაა ჩართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ პროგრამაში და ემსახურება სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე მოზარდებს.

ზაზა ცინაძე - მიმდინარე წლის 15 მარტიდან გაიხსნა მუნიციპალური სპორტული ობიექტები, სპორტული კლუბები, მათ შორის დახურული სპორტული დარბაზები და საცურაო აუზები. სპორტული ცენტრები ფუნქციონირებს კოვიდ პანდემიის პრევენციის მიზნით დაწესებული რეგულაციების სრული დაცვით. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც სურვილი აქვს განაახლოს ვარჯიში შეუძლია ეწვიოს ცენტრს და მიიღოს სასურველი სერვისი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი'' ზღვის უბნის, გლდანისა და ნაძალადევის რაიონის მოსახლეობისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ცენტრი სრულად ევროპული სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის სასურველი სპორტის სახეობით დაკავდნენ. თბილისის მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სპორტული ცენტრი უკვე ფუნქციონირებს და იღებს მსურველებს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სპორტში ჩართულობის ზრდის მიმართულებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ,,ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი''-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი''-ში, კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ გახსნითი სამუშაოების, მიმდინარე სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე